ტურიზმის სექტორი საქართველოში

16 აპრილი 2024

შინაარსი

ტურიზმის სექტორის აღდგენა

სასტუმროების ინდუსტრია

ტურიზმის სექტორის პერსპექტივები

ტურიზმის სექტორის აღდგენა

ტურიზმის სექტორის აღდგენა

ტურისტების რაოდენობა 2023 წელს სრულად მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში აღდგა

ტურისტების რაოდენობის აღდგენა გლობალურად, 2019 წელთან შედარებით



ტურისტების რაოდენობის აღდგენა ქვეყნების მიხედვით 2023 წელს, 2019 წელთან შედარებით



ტურისტების რაოდენობა 2023 წელს 12%-ით ჩამორჩებოდა 2019 წლის მაჩვენებელს. თუმცა, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, სექტორი სრულად აღდგება 2024 წელს.

საქართველოში ტურისტების რაოდენობა 2023 წელს 8%-ით ნაკლები იყო 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

წყარო: ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ტურიზმის სექტორის აღდგენა

2023 წელს ტურისტების რაოდენობამ პანდემიამდელი მაჩვენებლის 92.1% შეადგინა, ხოლო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა გადააჭარბა 2019 წლის ნიშნულს

ტურიზმის სექტორის აღდგენა 2019 წელთან შედარებით, %



ტურისტების რაოდენობა სრულ აღდგენას მიუახლოვდა 2023 წელს, ხოლო ერთდღიანი ვიზიტები კვლავ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა 2019 წლის მაჩვენებელს, აზერბაიჯანთან დაკეტილი საზღვრის გამო.

ტურიზმის სექტორის ძირითადი პარამეტრები, 2023 vs. 2019



ტურიზმის შემოსავლების სწრაფი აღდგენა განაპირობა ვიზიტორების მიქსის ცვლილებამ, მიგრანტების ეფექტმა და გაზრდილმა ფასებმა.

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ეროვნული ბანკი

ტურიზმის სექტორის აღდგენა

ტურისტების ზრდა შედარებით სუსტი იყო დასავლეთ ევროპიდან და მეზობელი ქვეყნებიდან 2023 წელს

ტურისტების აღდგენა რეგიონების მიხედვით 2023 წელს, 2019 წელთან შედარებით



საქართველოში სტუმრობის მიზანი მეზობელი და არამეზობელი ქვეყნებიდან, 2023



დასავლეთ ევროპიდან და მეზობელი ქვეყნებიდან ტურისტების რაოდენობა 2023 წელს სრულად ვერ აღდგა, თუმცა, სხვა რეგიონებიდან ვიზიტებმა გადააჭარბა 2019 წლის მაჩვენებლებს.

არამეზობელი ქვეყნებიდან სტუმრები ძირითადად ტურისტული მიზნით ჩამოვიდნენ, ხოლო მეზობელი ქვეყნებიდან დასვენების მიზნით მხოლოდ 28% ჩამოვიდა 2023 წელს.

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქსტატი, გალტ & თაგარტი

ტურიზმის სექტორის აღდგენა

ევროკავშირის გარდა, ტურისტების რაოდენობა თითქმის ყველა არამეზობელი ქვეყნიდან გაიზარდა 2023 წელს

ტურისტების განაწილება ქვეყნების მიხედვით, 2023





მეზობელი ქვეყნების და საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების წილმა ტურისტებში 63% შეადგინა 2023 წელს.

არამეზობელი ქვეყნებიდან ევროკავშირი ყველაზე მსხვილი ტურისტული ბაზარი იყო 2023 წელს, თუმცა, აღდგენის ტემპი 2019 წელთან შედარებით ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო.

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ტურიზმის სექტორის აღდგენა

მეზობელი ქვეყნების კონტრიბუცია სასტუმროების ინდუსტრიისთვის შედარებით მცირეა

მეზობლების და არამეზობლების კონტრიბუცია ტურიზმში, 2018-23 წლების საშუალო



წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ეროვნული ბანკი, საქსტატი, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, გალტ & თაგარტი

სასტუმროების ინდუსტრია

სასტუმროების ინდუსტრია 2019-23 წლებში

სასტუმროების ოთახების რაოდენობა



+45%

11,000 ერთეულით გაიზარდა სასტუმროების ოთახების რაოდენობა.

სასტუმროების ფასების ინდექსი ლარში

+16%

მოთხოვნა/მიწოდების დისბალანსის გამო, ფასები ზოგად ინფლაციაზე ნაკლებად გაიზარდა.

საშუალო ხელფასები სასტუმროებში, ლარი



+51%

ეკონომიკაში მაღალი ინფლაციის გამო, სექტორში ხელფასები გაიზარდა.

საშუალო EBITDA მარჟა

-6პპ

შესუსტებული მოთხოვნის და მზარდი ხარჯების შედეგად, მომგებიანობა შემცირდა.

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქსტატი, გალტ & თაგარტი

სასტუმროების ინდუსტრია

საქართველოში სასტუმროების ოთახების მიწოდებამ 35,000-ს გადააჭარბა 2023 წელს

განთავსების ობიექტების განაწილება კატეგორიების მიხედვით, 2023



სასტუმროების ოთახების განაწილება რეგიონების მიხედვით, 2023



განთავსების ობიექტებში ჯამურმა მიწოდებამ 68,521 ოთახი შეადგინა 2023 წელს. მიწოდების ნახევარზე მეტს სასტუმროები შეადგენენ, რასაც მოჰყვება Airbnb და საოჯახო სასტუმროები.

სასტუმროების ოთახების თითქმის 70% თბილისსა და აჭარაში მდებარეობს. შედარებით მაღალია ოთახების რაოდენობა სამცხე-ჯავახეთში, კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში, რასაც შიდა ტურიზმის მაღალი აქტივობაც განაპირობებს.

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, Airdna, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: მცირე ზომისაა სასტუმრო 20-ზე ნაკლები ოთახით

სასტუმროების ინდუსტრია

სასტუმროების მიწოდება სწრაფად გაიზარდა 2019-23 წლებში, პანდემიამდე ტურიზმის ბუმის გამო

სასტუმროს ოთახების განაწილება სეგმენტის მიხედვით, '000 ოთახი



დაახლოებით 11,000-ით გაიზარდა სასტუმროების ოთახების მიწოდება 2019-23 წლებში. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ყველაზე მზარდი საშუალო კლასის სეგმენტი იყო.

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, გალტ & თაგარტი

სასტუმროების ინდუსტრია

ბრენდული სასტუმროების უმეტესობა თბილისსა და აჭარაში ოპერირებს

ბრენდული სასტუმროების ოთახების რაოდენობა საქართველოში, '000 ოთახი



ბრენდული სასტუმროების ოთახების წილი რეგიონების მიწოდებაში 2023 წელს



ბრენდული სასტუმროების მიწოდება ძირითადად თბილისსა და აჭარაშია კონცენტრირებული.

ბრენდული სასტუმროების წილი მაღალია თბილისსა და აჭარაში, ხოლო დანარჩენ რეგიონებში საკმაოდ მცირეა. საგულისხმოა, რომ რამდენიმე რეგიონში ამ ეტაპზე ბრენდული სასტუმრო არ ოპერირებს.

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, გალტ & თაგარტი

სასტუმროების ინდუსტრია

ბრენდული სასტუმროების წილი გაიზარდა

სასტუმროს ოთახების მიწოდება, '000 ოთახი



ბრენდული სასტუმროების ოთახების რაოდენობა



ბაზარზე ბრენდული სასტუმროების წილი თანდათანობით იზრდება და 26%-მდე გაიზარდა 2023 წელს.

2023 წლის მონაცემებით, საქართველოს სასტუმროების ბაზარზე ყველაზე ფართოდ მარიოტ ინთერნეიშენალი იყო წარმოდგენილი.

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, გალტ & თაგარტი

სასტუმროების ინდუსტრია

მოთხოვნის დაახლოებით მესამედი Airbnb-ზე ნაწილდება

ტურისტების განაწილება განთავსების საშუალების მიხედვით, 2023



ტურისტების დაახლოებით 40% ათევს ღამეს სასტუმროში, ხოლო Airbnb-ს წილი დაახლოებით 24%-ს შეადგენს.

Airbnb-ს წილი ჯამურ მიწოდებაში, 2023



Airbnb-ს წილი ბათუმში ყველაზე მაღალია, აპარტამენტის ტიპის კომპლექსების სიმრავლიდან გამომდინარე. საქართველოში Airbnb-ს წილი ჯამურ მიწოდებაში 31%-ია და მცირედით აღემატება ევროკავშირის საშუალო 30%-ს.

წყარო: Airdna, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, გალტ & თაგარტი

სასტუმროების ინდუსტრია

Airbnb-ზე მოთხოვნას დიდწილად მომხმარებლის პრეფერენციები განაპირობებს

საშუალო ფასი (ADR) თბილისის სასტუმროებში და Airbnb-ზე 2023 წელს, აშშ დოლარი



საშუალო ფასი (ADR) ბათუმის სასტუმროებში და Airbnb-ზე 2023 წელს, აშშ დოლარი



თბილისში Airbnb-ს ფასები ბევრად მცირეა სასტუმროებთან შედარებით, რაც სავარაუდოდ იმაზე მიუთითებს, რომ მომხმარებელი არჩევანს ფასის გარდა, ფორმატის მიხედვითაც აკეთებს.

ბათუმში სასტუმროებს და Airbnb-ს შორის კონკურენცია სავარაუდოდ კიდევ უფრო გამძაფრდება, რადგან ქალაქის ახალ ნაწილში აპარტამენტების მიწოდება სწრაფად იზრდება.

წყარო: Airdna, გალტ & თაგარტი

ტურიზმის სექტორის პერსპექტივები

ტურიზმის სექტორის პერსპექტივები

აეროპორტებში მგზავრთა ნაკადი გაიზარდა, თუმცა ევროპული მიმართულებებით პირდაპირი ფრენების საჭიროება კვლავ დიდია, განსაკუთრებით თბილისიდან

მგზავრთნაკადი აეროპორტების მიხედვით, მლნ



რეგულარული ფრენები ქვეყნების მიხედვით, 2023



ფრენების ოდენობამ 2023 წელს გადააჭარბა 2019 წლის მაჩვენებელს. ქართველი მგზავრების წილი თბილისში 33%, ქუთაისში 48%, ბათუმში კი 18% იყო 2023 წელს.

ევროკავშირთან გაზრდილი ფრენები ძირითადად ქუთაისიდან ფრენების სიხშირითაა განპირობებული, თუმცა ამ ფრენებით მეტწილად ადგილობრივები სარგებლობენ. მეორეს მხრივ, თურქეთისა და საამიროების მაღალი წილი პირდაპირი ფრენების ნაკლებობაზე მიუთითებს.

წყარო: სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, გალტ & თაგარტი

ტურიზმის სექტორის პერსპექტივები

მაღალმხარჯველი ტურისტების მხრიდან მაღალია საქართველოს რეგიონების მონახულების ინტერესი

მონახულებული რეგიონების საშუალო რაოდენობა, 2023



ადგილობრივ სტუმართა წილი სასტუმროებში რეგიონების მიხედვით, 2022



მაღალმხარჯველი ტურისტების მხრიდან დიდია ინტერესი საქართველოს რეგიონების მიმართ, რაც ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროებას უსვამს ხაზს.

შიდა ტურისტების წილი მაღალია იმ რეგიონებში, სადაც სასტუმროების მიწოდების ნაკლებობაა.

წყარო: საქსტატი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ტურიზმის სექტორის პერსპექტივები

ევროპელი ტურისტები ყველაზე მეტს მოგზაურობენ და ერთ ვიზიტზე ბევრს ხარჯავენ

საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების ფარდობა მოსახლეობის რაოდენობასთან



ხარჯი რეგიონების მიხედვით, აშშ დოლარი



დასავლეთ ევროპელები ყველაზე მეტს მოგზაურობენ, თუმცა განვითარებადი ქვეყნებიდან საზღვარგარეთ შედარებით შეძლებული ფენა ისვენებს.

ჩინელი ტურისტები მაღალმხარჯველიანობით გამოირჩევიან. საგულისხმოა, რომ საქართველოში ვიზიტზე საშუალო ხარჯი დაახლოებით 800 აშშ$-ია.

წყარო: ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: ახლო აღმოსავლეთის მონაცემები მოიცავს შერჩეული ქვეყნების მაჩვენებლებს

ტურიზმის სექტორის პერსპექტივები

ევროპელი მოგზაურებისთვის რეკომენდაციებია მნიშვნელოვანი, ხოლო აზიელებისთვის სოციალური მედია

მოგზაურობის ინსპირაციის წყაროები ქვეყნების მიხედვით



ევროპელი და ამერიკელი ტურისტებისთვის სამოგზაურო ადგილის ასარჩევად ყველაზე მნიშვნელოვანი მეგობრების რეკომენდაციაა (ე.წ. „Word of Mouth"), რაც სერვისის ხარისხის გაუმჯობესების საჭიროებაზე მიუთითებს. აზიური ბაზრები კი სამოგზაურო ადგილს მეტწილად სოციალური ქსელების საშუალებით არჩევენ.

წყარო: Skyscanner

კვლევების დეპარტამენტის უფროსი
ევა ბოჭორიშვილი
evabochorishvili@gt.ge

სექტორული კვლევების უფროსი
კახა სამყურაშვილი
ksamkurashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
თათია მამრიკიშვილი
tmamrikishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ოქროპირიძე
maokropiridze@gt.ge

მისამართი:
ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

Galt & Taggart-ის ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, Galt & Taggart-ის მხრიდან. Galt & Taggart-ი პასუხისმგებლობას არ იღებს ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე. ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი.

ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და Galt & Taggart-ს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. Galt & Taggart-ის მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ Galt & Taggart-ის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია.